ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

5-6

მაისი—ივნისი

ქ. მარქსის სახ. სახ. საჯ. რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

თბილისი—1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-62 წელი. ანაწყობის ზომა 6X10. ქაღალდის ზომა 60X84. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,5

**ფასი 10 კაპ.**

შეკ. 457 ტ. 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Грузинской ССР.
**Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, № 19.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1962 წ. 28 მაისი

**ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 მაისის № 293 დადგენილებას რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

## „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

### დადგენილება № 293

1962 წლის 7 მაისი

### ქ. თბილისი

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგრძნობლად დაქვეითდა მათემატიკის სწავლებისა და მოსწავლეთა მომზადების დონე, რაზედაც ნათლად მეტყველებს როგორც სკოლების მუშაობის შემოწმების, ისე უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარებული მისაღები გამოცდების შედეგები.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარებულ მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში 1959 წელს 2314 აბიტურიენტის წერითი ნამუშევრიდან „ფრიადზე“ შეფასდა ნამუშევართა 2,5 პროცენტი, ხოლო „არადამაკმაყოფილებელზე“—58 პროცენტი; 1960 წელს 1449 ნამუშევრიდან „ფრიადზე“ შეფასდა 2,7 პროცენტი, „არადამაკმაყოფილებელზე“ კი—60

პროცენტი; 1961 წელს 2561 ნამუშევრიდან „ფრიადზე“ შეფასდა 0,8 პროცენტი, ხოლო „არადამაკმაყოფილებელზე“ — 69,8 პროცენტი.

რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქისა და რაიონების სკოლებში ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ მოსწავლეთა დიდ უმრავლესობას აქვს მათემატიკის ზერელე ცოდნა, არა აქვთ მათემატიკური განვითარება, მათემატიკური მსჯელობისა და დასაბუთების უნარი, მათემატიკურ ცნებათა ღრმა და საფუძვლიანი გაგება, არ შესწევთ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.

შემოწმებამ აგრეთვე ცხადყო, რომ დაბალია მათემატიკის მასწავლებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის თეორიული და პედაგოგიური კვალიფიკაცია, სწავლებაში ადგილი აქვს ფორმალიზმს, ხოლო მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში — ლიბერალიზმს. ასეთი ფაქტები გვხვდება ქ. თბილისის, გორის, სოხუმის, ზესტაფონისა და თერჯოლის საშუალო სკოლებში.

რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკური საგნების სწავლებისა და მოსწავლეთა მომზადების საქმეში არსებული მოუთმენელი ნაკლოვანებანი გამოწვეულია მასწავლებლებისა და სკოლის დირექციების სუსტი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობით და მათდამი საბჭოთა ორგანოებისა და მეთოდური დაწესებულებების დახმარების, ხელმძღვანელობისა და კონტროლის შესუსტებით; სკოლები უზრუნველყოფილნი არ არიან მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალებითა და ხელსაწყოებით.

სკოლებში მათემატიკის სწავლების დაბალი დონე იმითაცაა გამოწვეული, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმე, განსაკუთრებით ნაკლოვანებანია სალამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებების მუშაობაში.

ნაკლები ყურადღება ექცევა მათემატიკური დარგებისადმი მიდრეკილების მქონე მოსწავლეებს და მათთან წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) შეუნელებლად იზრუნოს მათემატიკის მასწავლებელთა თეორიული დონისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; მეტი ყურადღება მიაქციოს სალამოს და დაუსწრებელ სწავლებაში მასწავლებელთა ჩაბმას, მეთოდური ლიტერატურის შექმნასა და

გამოცემას, დახელოვნების კურსების მუშაობის ხარისხის ამაღლებასა და მეთოდური მუშაობის წარმოებას;

ბ) გადაჭრით აამაღლოს მათემატიკის გაკვეთილის ხარისხი; უზრუნველყოს მასწავლებელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესისა და სიყვარულის გრძნობის აღზრდა. მეტი ყურადღება მიაქციოს საშინაო დავალებების დოზირებასა და მათი შესრულების შემოწმებას, აკადემიურად ჩამორჩენილ და მეორეწლიან მოსწავლეებთან მუშაობას.

მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაწყვეტილება 1961—1962 სასწავლო წლიდან გამოსაშვებ კლასებში წერითი გამოცდების შემოღების შესახებ მათემატიკაში;

გ) მოაწესრიგოს და გააუმჯობესოს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა მათემატიკაში; განამტკიცოს კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის, არ დაუშვას მოსწავლეთა გადატვირთვა; მეტი ყურადღება მიაქციოს მათემატიკური წრეების მუშაობასა და მოსწავლეთა ოლიმპიადების მოწყობას მათემატიკაში;

დ) განამტკიცოს სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა მათემატიკაში, უზრუნველყოს სკოლები მათემატიკის სწავლებისა და პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო თვალსაჩინო მასალებითა და ხელსაწყოებით, მეტი ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და იარაღების დამზადებას;

ე) გულდასმით შეისწავლოს საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქში შექმნილი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო მათემატიკური სკოლების მუშაობის გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში მათი მაგალითისამებრ თბილისში გახსნას ერთი ასეთი საშუალო სკოლა;

ვ) გადაჭრით გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მათემატიკის სწავლებისადმი, უზრუნველყოს შესაბამისი რესპუბლიკური დაწესებულებების, განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლის დირექციების აქტიური ჩაბმა ამ საქმეში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს საფუძვლიანად შეისწავლოს მათემატიკის პედაგოგთა კადრების მომზადების მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს საჭირო წინადადებანი მასწავლებელთა კადრების მომზადების გაუმჯობესების შესახებ;

3. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს:

ა) მიმდინარე წლის ბოლომდე შეამოწმონ მათემატიკურ დისციპლინებში მომუშავე პედაგოგიური კადრების საჭიროება, გადასინჯონ მათი შემადგენლობა და სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყონ მაღალკვალიფიციური კადრებით;

ბ) ორი თვის ვადაში გადასინჯონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკისა და დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტების სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები და შეიმუშაონ სათანადო წინადადებანი საჭირო ცვლილებათა შეტანის შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი მათემატიკის დარგებში მომუშავე მეცნიერთა და მასწავლებელთა კავშირის განმტკიცებისა და მათემატიკური ცოდნის შემდგომი განვითარების მიზნით რესპუბლიკური მათემატიკური საზოგადოების დაარსების შესახებ.

5. საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცეს პოპულარული ლიტერატურა მათემატიკის საკითხებზე და უზრუნველყოს მათემატიკურ მეცნიერებათა მიღწევების ფართო პროპაგანდა ახალგაზრდობასა და მოსახლეობაში.

6. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ დახმარება და ხელმძღვანელობა სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სკოლებისადმი მათემატიკური საგნების სწავლების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.“**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების განსახორციელებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, ს/ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) დადგენილება ფართოდ განიხილონ კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მის განსახორციელებლად;

ბ) უზრუნველყონ მიმდინარე სასწავლო წელს სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მათემატიკაში წერითი გამოცდის ორგანიზებულად ჩატარება;

გ) გადასინჯონ სკოლებში მათემატიკის მასწავლებელთა შემადგენლობა და ამ ახალი სასწავლო წლიდან მათემატიკური დისციპლინების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების მიზნით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

2. აგვისტოს თათბირების ჩატარებისას მიმდინარე წელს მათემატიკის მასწავლებელთა სექციურ მუშაობაზე გულდასმით განიხილონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების შესახებ და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მათემატიკის სწავლებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

3. სკოლების სამმართველომ:

ა) დასახელებული დადგენილების განხორციელების საქმეში სკოლებისათვის კონკრეტული დახმარების გაწევის მიზნით III და IV კვარტალის გეგმით გაითვალისწინოს სათანადო ღონისძიებანი;

ბ) გულდასმით შეისწავლოს საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქალაქში შექმნილი მათემატიკური განხრის მქონე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მუშაობის გამოცდილება და მათი მაგალითისამებრ პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან ერთად წარმოადგინოს წინადადებანი ქ. თბილისში ასეთი საშუალო სკოლის მოწყობის შესახებ.

ბ) გადასინჯოს სასწავლო პროგრამები მათემატიკაში, მათში სათანადო ცვლილებების შეტანის მიზნით.

4. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა სისტემატურად შეისწავლონ მათემატიკის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობა და ფართოდ განაზოგადონ მათი გამოცდილება.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ შეისწავლოს მათემატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში საჭირო ცვლილებათა შეტანის საკითხი და დაზუსტებული მასალა წარმოუდგინოს კოლეგიას განსახილველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად მოათავსონ მეთოდური ხასიათის წერილები მათემატიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი   თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 230

1962 წლის 5 აპრილი, ქ. თბილისი

### სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მომსახურების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობები არ შეესაბამება მოთხოვნებს.

საძინებელ და სასწავლო კორპუსებში, სასადილოებში, სკოლა-ინტერნატების ტერიტორიაზე არ არის დაცული სისუფთავე და წესრიგი, ყველგან როდია მოწყობილი კანალიზაცია, იშვიათად ცვლიან ლოგინის თეთრეულს, მოსწავლეები ზედა ტანსაცმელს საწოლების ზურგზე კიდებენ, ბევრ მათგანს არ გააჩნია კბილის ჯაგრისი, ცხვირსახოცი, საყელოები, ბევრი მათგანი არ ატარებს თავისი ზომის ტანსაცმელს, ჩაცმულია უხეიროდ და ა. შ.

ზემონათქვამი შეეხება, მაგალითად, თბილისის № 4 სკოლა-ინტერნატს, ჩაისუბნის, კირნათის, მახუნცეთის, კოჯრის, მარნეულის, ახალქალაქის, კალდახვარისა და ზოგიერთ სხვა ობიექტს.

მთელი რიგი სკოლა-ინტერნატები სამშენებლო ორგანიზაციების მიზეზით საექსპლუატაციოდ გადაცემულია დაუმთავრებელი სახით და დეფექტებით. ეს არა მარტო ანტისანიტარიას იწვევს, არამედ აგრეთვე ხელს უშლის ზოგიერთი სასწავლო სახელოსნოსა და კაბინეტის გახსნას (ჩაისუბნის, კალდახვარის, ბაბუშერის, სოხუმის № 1, კირნათისა და სხვა სკოლა-ინტერნატები).

დღემდე არ არის მობინადრეებისაგან განთავისუფლებული ბოგდანოვკისა და ქუთაისის № 3 სკოლა-ინტერნატებისათვის გა-

მოყოფილი სადგომები, რის გამო ეს სკოლები მეტად მძიმე პირობებში მუშაობენ.

ყველა შემოწმებულ სკოლა-ინტერნატში წინანდებურად არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება. ბავშვებს ერთფეროვანი და უგემური საჭმლით კვებავენ, მათ საკმაო რაოდენობით არ აძლევენ ისეთ პროდუქტებსაც კი, რომლებიც ყოველთვის საკმაოდ მოიპოვება სავაჭრო ქსელში (ხორბლის ფქვილი, კარტოფილი, შაქარი, ხორცი და სხვ.). ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა არსებითად თავს არიდებენ აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეს და მხოლოდ ფონდების (ხშირად არასაკმაო რაოდენობის) გამოყოფით კმაყოფილდებიან, ხოლო საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ვერ შეძლო ჯეროვანი წესრიგის დამყარება ამ საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს სკოლა-ინტერნატებს რბილი და მაგარი ინვენტარით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დაწესებული ნორმების ფარგლებში. ლოგინის თეთრეული, საცვლები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვ. არათანაბრად ნაწილდება სკოლებს შორის. ექვს შემოწმებულ სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელი გოგონებისათვის შეძენილი იყო 705 ცალით მეტი ქვედა საცვალი, ვიდრე ეს ნორმით იყო გათვალისწინებული ,ხოლო ოთხ სკოლა-ინტერნატში 223 ცალით ნაკლები იყო; 19 შემოწმებული სკოლა-ინტერნატიდან არც ერთ სკოლაში აღსაზრდელებისათვის არ მიუციათ შალნარევი სვიტრი, 11 სკოლაში—რეიტუზები, 14 სკოლაში—შალნარევი შარფები, 12 სკოლაში—ფლოსტები, საზამთრო და საზაფხულო ქუდები და სხვ.

სკოლა-ინტერნატების დირექტორები, რომლებიც უმთავრესად სამეურნეო ფუნქციებს ასრულებენ, წინანდებურად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები იშვიათად ამოწმებენ და იხილავენ სკოლა-ინტერნატების საქმიანობას, არ იჩენენ სათანადო მზრუნველობას აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების და მომარაგების გაუმჯობესებისათვის. საკმარისი არ არის ის სახსრები, რომლებიც გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტებით სკოლა-ინტერნატებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს. ·

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) განახორციელოს გადაუდებელი ზომები რესპუბლიკის

სკოლა-ინტერნატების მუშაობაში სათანადო წესრიგის დასამყარებლად, აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მომარაგების გაუმჯობესებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განამტკიცონ სკოლა-ინტერნატები კვალიფიციური მუშაკებით, რომელთაც უნარი შესწევთ განახორციელონ მათ წინაშე დასახული ამოცანები;

გ) მკაცრად დასაჯონ სკოლა-ინტერნატების დირექტორები, მათი თანაშემწეები სამეურნეო ნაწილში და სხვა მუშაკები, რომლებმაც დაუშვეს ანტისანიტარია და უწესრიგობა საცხოვრებელ, სასწავლო და საძინებელ კორპუსებში, აგრეთვე შემოწმების პროცესში გამოვლინებული სხვა დარღვევები;

დ) გადასინჯონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი ინვენტარითა და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ნორმები და 1962 წლის 15 ივნისამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი წინადადებანი, შეთანხმებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს სისტემატურად გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ აღსაზრდელებისადმი და მიაღწიონ მათი საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მომარაგების დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას; გაითვალისწინონ ბიუჯეტებით ასიგნობანი, რომლებიც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნან სკოლა-ინტერნატები კვებით, ინვენტარითა და ტანსაცმლით დაწესებული ნორმების სრული შესაბამისობით.

უახლოეს დროში განიხილონ იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც საექსპლუატაციოდ გადასცეს სკოლა-ინტერნატების შენობები დეფექტებითა და მოუთავებელი სამუშაოებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მიიღოს კონკრეტული ზომები და უზრუნველყოს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა მკვეთრად გააუმჯობესონ სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთათვის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკერვის ხარისხი.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს ასსრ მშენებლობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში დაამთავროს საექსპლუატაციოდ გადაცემული სკოლა-ინტერნატების მთელი სამშენებლო სამუშაოები, აღმოფხვრას სამშენებლო დეფექტები და ბოლომდის მიიყვანოს სანტექნიკური სამუშაოები (გათბობა, კანალიზაცია და ა. შ.), აგ-

რეთვე მკაცრად დასაჯონ კონკრეტული დამნაშავენი, რომლებმაც გააჭიანურეს სკოლა-ინტერნატების მშენებლობა და დაუშვეს სამშენებლო დეფექტები.

ეროვნული

5. დაევალოთ ქუთაისის, სოხუმის, ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომებს გაათავისუფლონ კერძო მობინადრეებისაგან ბაბუშერის, ბოგდანოვკისა და ქუთაისის № 3 სკოლა-ინტერნატების ტერიტორიაზე მდებარე სახლები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გადაეცა.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად 1962 წლის 1 მაისამდე შეარჩიონ სამ-სამი სკოლა-ინტერნატი, რომლებშიაც მოეწყობა მოსწავლეთა კვება უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ.

7. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა საბჭოთა ორგანომ განიხილა ჩატარებული შემოწმების შედეგები და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების მუშაობის გასაუმჯობესებლად და რომ დარღვევებსა და ნაკლოვანებებში დამნაშავე მუშაკებს დაედოთ სათანადო სასჯელი.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ამ დადგენილების შესრულება მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 1 იანვრისათვის.

საქართველოს სსრ მისისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1962 წ. 12 მაისი

საქართველოს განათლების ორგანოებმა, ასრულებენ რა სკკპ XX, XXI და XXII ყრილობების გადაწყვეტილებებს, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ახალი ტიპის სასწავლო-საღმზრდელო დაწესებულებების—სკოლა-ინტერნატების შესაქმნელად.

1961—1962 სასწავლო წელს რესპუბლიკაში უკვე არსებობს 56 სკოლა-ინტერნატი, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მშრომელ მოსახლეობაში; ყოველწლიურად მატულობს მშობელთა განცხადებები, რომლებსაც სურთ თავიანთი ბავშვების მოწყობა სკოლა-ინტერნატებში.

სკოლა-ინტერნატების უმრავლესობაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა ბავშვთა სწავლისა, აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის. მათ მნიშვნელოვანი გამოცდილება დააგროვეს თავისი მუშაობის პერიოდში. დღითიდღე უმჯობესდება მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მეთოდები და ფორმები. ქ. თბილისის № 3, ქუთაისის № 1, ბათუმის № 1, გურჯაანის, ატენის, კაჭრეთის, ზუგდიდისა და სხვა სკოლა-ინტერნატების მუშაობის გამოცდილების შესწავლა ადასტურებს, რომ არსებული ხელსაყრელი პირობებისა და შესაძლებლობათა გამოყენებით ისინი კარგ შედეგებს აღწევენ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლების საქმეში.

ბევრ სკოლა-ინტერნატში კარგად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა: პედაგოგიური კოლექტივები წარმატებით წყვეტენ სწავლებისა და აღზრდის, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცების ამოცანას, აღწევენ მოსწავლეთა მაღალ მოსწრებასა და საფუძვლიან ცოდნას და მოზარდებში ნერ-

გავენ მტკიცე შრომით ჩვევებს. მტკიცე რეჟიმი, რეგულარული კვება, მუდმივი საექიმო დაკვირვება, ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატური მეცადინეობა ხელს უწყობს სკოლა-ინტერნატებში ჯანსაღი, ფიზიკურად გამოწრთობილი ახალგაზრდობის აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

რიგ სკოლა-ინტერნატებში ჯერ კიდევ დაბალია მოსწავლეთა მოსწრება და დისციპლინა, ცუდად არის დაყენებული მუშაობა ბავშვთა აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარებისათვის. განათლების ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი ფორმალურად ეკიდება ხელმძღვანელ, მასწავლებელთა და აღმზრდელთა კადრების შერჩევას, რაც იწვევს მათ ხშირ შეცვლას და მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ცალკეული სკოლა-ინტერნატების მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის დაყენებაზე. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ცუდად მოქმედებს ისიც, რომ რიგ სკოლა-ინტერნატებში სუსტია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არადამაკმაყოფილებელია ბავშვთა კვება და სხვა სახის მომსახურება.

თბილისის № 4, ჩაისუბნის, კირნათის, მახუნცეთის, კოჯრის, მარნეულის, ახალქალაქის, კალდახვარის სკოლა-ინტერნატების საძინებელ, სასწავლო კორპუსებში და სასადილოებში არ არის დაცული სისუფთავე და წესრიგი, ყველგან არაა გაყვანილი კანალიზაცია, დაგვიანებით ხდება ლოგინის თეთრეულის გამოცვლა, ბევრ ბავშვს არ აქვს კბილის ჯაგრისი, ცხვირსახოცი, სუფთა საყელო, აცვიათ მოურგებელი ტანისამოსი, ულაზათოდ არიან ჩაცმული და სხვ.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველო დადგენილი ნორმებით დროულად და მთლიანად ვერ უზრუნველყოფს სკოლა-ინტერნატებს რბილი და მაგარი ინვენტარით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით. ამასთან ერთად ხშირად ლოგინის თეთრეული და საცვალი' ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა საგნები სკოლა-ინტერნატებს შორის ნაწილდება არათანაბრად.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების მიზეზით რიგი სკოლა-ინტერნატების საექსპლუატაციოდ გადაცემა ხდება დიდი დაგვიანებით და დეფექტებით (ჩაისუბნის, კალდახვარის, ბაბუშერის, სოხუმისა და სხვა სკოლა-ინტერნატები).

ბევრ სკოლა-ინტერნატში (თბილისის № 4, ჩაისუბნის, კირ-

ნათის, მახუნცეთის, კოჯრის, მარნეულის, ახალქალაქის, კალდახვარის და სხვები) არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება. ბავშვებს ეძლევათ ერთნაირი და უგემური საჭმელი, აკლებენ ისეთ პროდუქტებსაც კი, რომლებიც ყოველთვის საკმაოდაა სავაჭრო ქსელში (პურის ფქვილი, კარტოფილი, შაქარი, ხორცი და სხვ.).

სკოლა-ინტერნატების ერთი ნაწილის დირექტორები უმთავრესად სამეურნეო ფუნქციებს ასრულებენ და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას. ამასთან ერთად რიგი რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები არ ახორციელებენ სკოლა-ინტერნატების მუშაობაზე სათანადო კონტროლს, მათი ინსპექტირება შემთხვევითსა და ხშირად ზერელე ხასიათს ატარებს.

ყველა ეს და სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი ინტერნატების სააღმზრდელო, სამეურნეო და ორგანიზაციულ მუშაობაში აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ სკოლა-ინტერნატებისა და განათლების ადგილობრივი ორგანოების ცალკეულ ხელმძღვანელებს სრულად არა აქვთ გაგებული სკოლა-ინტერნატების როლი და მნიშვნელობა კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული მოქალაქეების მომზადების საერთო საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 5 აპრილის № 230 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ სკოლა ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გარდაქმნან სკოლა-ინტერნატების მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი, მიაღწიონ დირექტორისა და მთელი პერსონალის პასუხისმგებლობის ამაღლებას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად ორგანიზაციისათვის სკოლა-ინტერნატების დებულების შესაბამისად, აღკვეთონ მუშაკების მიერ ბავშვებისადმი არაგულისხმიერი მიდგომისა და დაკისრებული მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების გამოვლინება; გადაჭრით გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა სკოლა-ინტერნატებში, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და მათ მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში;

სასწავლო წლის მანძილზე ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროების კოლეგიაზე და სახალხო განათლების

საბჭოზე ორჯერ მაინც განიხილონ სკოლა-ინტერნატების საკითხი და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ეროვნული

ბ) რჩევა მისცენ სკოლა-ინტერნატების დირექტორებსა და მათ მოადგილეებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, მასწავლებლებსა და აღმზრდელებს ყურადღება გაამახვილონ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობაზე გაკვეთილისა და საშინაო დავალებების შესრულების დროს და ამოცანად მიიჩნიონ იგი, როგორც მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას მოსწავლეებში, იმუშავებს მათში შეგნებულ ინტერესს, ინიციატივასა და მისწრაფებას ცოდნის, მეცნიერების საფუძვლების მტკიცედ დაუფლებისადმი, აღუძრავს მათ სურვილს —პრაქტიკულად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და ჩვევები;

გ) გაბედულად დანერგონ პრაქტიკაში იმ სკოლა-ინტერნატების გამოცდილება, რომლებშიც აღსაზრდელებს ნება ეძლევათ დამოუკიდებლად შეასრულონ საშინაო დავალებანი და ისიც არა მხოლოდ მთელი სააღმზრდელო ჯგუფის შემადგენლობაში, არამედ ცალკე—სასწავლო კაბინეტებში, სადაც შესაძლებლობა არსებობს ისარგებლონ სხვადასხვა იარაღითა და თვალსაჩინო ხელსაწყოებით;

დ) განათლების განყოფილებათა გამგეებმა და საშუალო სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა იმ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად, სადაც მოსწავლეთა საწარმოო სწავლება ტარდება, განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეულ საშუალო სკოლა-ინტერნატში აღსაზრდელთა პროფესიული მომზადების დაყენებას სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა სრული შესაბამისობით; სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების, აღსაზრდელთა პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადების საქმეში მოწინავე სკოლა-ინტერნატების მიერ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება ფართოდ გავრცელდეს და დაინერგოს ყველა სკოლა-ინტერნატის პრაქტიკაში;

ე) კომკავშირულ ორგანოებთან ერთად განხორციელდეს საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს კომკავშირული და პიონერული მუშაობა აღსაზრდელთა შორის, შეიქმნას მოსწავლეთა მჭიდრო კოლექტივები სკოლა-ინტერნატებში და მათ შორის გაიშალოს სხვადასხვა მასობრივი ფორმის აღმზრდელობითი მუშაობა;

ვ) ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სკოლა-ინტერნატების შეფების—წარმოებებისა და დაწესებულებების ინიციატივას და დახ-

მარება გაუწიონ მათ სასწავლო-საწარმოო სახელოსნოებისა და სასწავლო-საცდელი მეურნეობების, სპორტული მოედნებისა და სათამაშო ოთახების მოწყობის საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზ) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მზრუნველთა საბჭოს მუშაობას, როგორც ორგანოსი, რომელიც ხელს უწყობს სკოლა-ინტერნატის მთელი მუშაობის გაუმჯობესებას;

თ) განხორციელდეს მუდმივი ზრუნვა თითოეულ სკოლა-ინტერნატში საჭირო პირობების შესაქმნელად ფიზიკური კულტურისა, სპორტისა და ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების ფართო განვითარებისათვის.

2. ინფორმაცია ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოდგენილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 1962 წლის 1 ნოემბრისათვის.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად 1962—1963 სასწავლო წლის გეგმაში გაითვალისწინოს ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების ხელმძღვანელი და პედაგოგიური კადრების შერჩევის, განაწილებისა და დახელოვნების საქმის გაუმჯობესებისათვის.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებების სამმართველომ 20 აგვისტომდე უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატები საჭირო რბილი და მაგარი ინვენტარით, ტანსაცმლით, მაღალი ხარისხის ფეხსაცმლით, აგრეთვე სახელმძღვანელოებით და სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ:

ა) დროულად უზრუნველყოს ტექნიკური დოკუმენტაციითა და საშენი მასალით ის სკოლა-ინტერნატები, რომლებიც ატარებენ შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტს;

ბ) გააძლიეროს კონტროლი სკოლა-ინტერნატების მშენებლობის 1962 წლის გეგმის დროულად შესრულებაზე, სამშენებლო სამუშაოების ხარისხსა და შენობების საექსპლუატაციოდ გადაცემაზე დადგენილ ვადებში.

6. სკოლა-ინტერნატებზე მიმაგრებულმა ინსპექტორებმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სხვა მუშაკებმა განიხილონ ეს ბრძანება სკოლა-ინტერნატების შემოწმებაზე და დასახონ სათანადო ღონისძიებანი.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიურ

მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა უფრო ღრმად შეისწავლოს სკოლა-ინტერნატების მუშაობის თავისებურებანი, შეიმუშაოს მეცნიერულ-მეთოდური ღონისძიებანი სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, ფართოდ გააშუქოს და დანერგოს სკოლა-ინტერნატების მოწინავე გამოცდილება, რისთვისაც გამოსცეს ბროშურები, ჩაატაროს სკოლა-ინტერნატების მუშაკთა მეცნიერულ-პრაქტიკული კონფერენციები და მეთოდური თათბირები.

8. დაევალოს „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ სკოლა-ინტერნატების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები მოწინავე გამოცდილების ჩვენებით ბავშვთა და მოზარდთა სწავლების, აღზრდისა და ყოველმხრივი განვითარების საქმეში.

9. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ:

ა) დაავალოს სამმართველოს ინსპექტორებს ადგილებზე ყოფნისას ღრმად ჩასწვდნენ სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარს და სამეურნეო საქმიანობის მდგომარეობას, მიაღწიონ შემოწმების მსვლელობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა ადგილზე გამოსწორებას;

ბ) მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოსთან ერთად 10 ივნისამდე გადასინჯოს სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, რბილი ინვენტარითა და კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ნორმები და წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შესათანხმებლად;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მოახსენოს კოლეგიას მიმდინარე წლის დეკემბერში.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი   თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

# დებულება
# საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო სწავლებიანი სკოლების დაუსწრებელი განყოფილებების შესახებ

## 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 მაისის № 357 დადგენილებით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაუსწრებელი განყოფილებები იქმნება „საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დებულების“ მე-6 პუნქტისა და „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლის დებულების“ მე-4 პუნქტის საფუძველზე.

2. დაუსწრებელი განყოფილების მიზანია საშუალო განათლების მიღებაში დაეხმაროს იმ პირებს, რომლებსაც არ შეუძლიათ რეგულარულად დაესწრონ მეცადინეობას საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

3. საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკურ საწარმოოსწავლებიან სკოლებთან დაუსწრებელი განყოფილებები გაიხსნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარდგენით, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილების საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ კონტინგენტი 100-ზე ნაკლები არ არის.

დაუსწრებელი განყოფილებები იქყოფება იმ სკოლებისა და

რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებათა გამგებლობაში, სადაც ისინი ყალიბდებიან.

4. დაუსწრებელ განყოფილებებს აქვთ IX, X და XI კლასები იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც რვაწლიანი განათლება აქვთ, დაუსწრებელ განყოფილებებს შეიძლება ჰქონდეთ ყველა კლასი, დაწყებული მე-5-დან. თითოეულ კლასში უნდა იყოს 9 დან 20 მოსწავლემდე.

5. თითოეული დაუსწრებელი განყოფილების მომსახურების რაიონს აწესებს რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილება.

6. დაუსწრებლებისათვის სისტემატური პედაგოგიური დახმარებისა და ჩათვლების ჩაბარების მისაღებად ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებთანაც შექმნილია დაუსწრებელი განყოფილება, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებასთან შეთანხმებით, დაუსწრებელი განყოფილების სამომსახურეო ტერიტორიაზე ქმნიან სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებს.

7. დაუსწრებელ განყოფილებათა სასწავლო საკონსულტაციო პუნქტები იქმნება საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკურ საწარმოო სწავლებიან სკოლებთან არანაკლებ 60 დაუსწრებლისათვის.

იმ შემთხვევაში, როცა დაუსწრებელთა რაოდენობა არაა საკმარისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის შესაქმნელად, საკონსულტაციო დახმარებისა და ჩათვლების ჩასაბარებლად დაუსწრებლები მიემაგრებიან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უახლოეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას.

**შენიშვნა:** არასრული საშუალო სკოლის დაუსწრებლები შეიძლება მიემაგრონ რვაწლიან სკოლას. რვაწლიან სკოლას შეიძლება მიემაგრონ აგრეთვე IX—XI კლასის დაუსწრებლებიც, თუკი ამ სკოლაში მუშაობენ უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებლები.

## II. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია

8. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე სასწავლო წელი იწყება 1-ლი სექტემბრიდან და მთავრდება: V, VI, VII, IX და X კლასებში—25 მაისს; VIII კლასში—13 ივნისს, XI კლასში—22 ივნისს.

სასწავლო წელი იყოფა 2 ნაწილად, მათ შორის წესდება 10 დღიანი საზამთრო არდადეგები (1-დან 10 იანვრამდე).

9. დაუსწრებელი განყოფილება მუშაობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგ-

მით და ხელმძღვანელობს საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის განკუთვნილი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაუსწრებელი განყოფილების და მისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ფორმებია:

ა) დაუსწრებლებთან ჯგუფური კონსულტაციები და ჯგუფური მუშაობის სხვა სახეები (წამმართველი და მიმოხილვითი ლექციები, პრაქტიკული სამუშაოები სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში და ა. შ.), რომლებიც, როგორც წესი, ტარდება მოცემული კლასის მთელ შემადგენლობასთან;

ბ) ინდივიდუალური კონსულტაციები, რომლებიც ეწყობა დაუსწრებლების დასახმარებლად მათ დამოუკიდებელ მუშაობაში;

გ) ინდივიდუალური ჩათვლების მიღება, რომელთა ჩაბარება აუცილებელია ყველა დაუსწრებლისათვის.

დაუსწრებლების ცოდნა, უნარი და ჩვევა ფასდება ხუთბალიანი სისტემით.

11. დაუსწრებელი განყოფილებების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის გათვალისწინებული დრო განისაზღვრება აკადემიურ საათებში, ამასთან ჯგუფურ კონსულტაციებზე თითოეულ კლასში კვირაში გათვალისწინებულია 6 აკადემიური საათი, ინდივიდუალურ კონსულტაციებზე თითოეულ დაუსწრებელზე კვირაში—საშუალოდ 1/3—აკადემიური საათი (15 წთ), თითოეული ჩათვლის მიღებაზე—საშუალოდ 0,5 აკადემიური საათი.

შენიშვნა: თუ კლასში 9-ზე ნაკლები დაუსწრებელია, მაშინ სასწავლო საათების რაოდენობა სამუშაოს ყველა სახეზე თითოეულ მოსწავლეზე განისაზღვრება კვირაში ერთი აკადემიური საათით.

12. დაუსწრებლები, რომლებსაც არ აქვთ ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონსულტაციებზე დასწრებისა და ჩათვლების ჩაბარების საშუალება, მასწავლებლებისაგან ღებულობენ წერილობით კონსულტაციებს, აგრეთვე თითოეულ საგანში ადგენენ წერილობით საკონტროლო სამუშაოებს იმ რაოდენობით, რამდენი ჩათვლაცაა გათვალისწინებული სასწავლო გეგმით მოცემულ კლასში.

13. დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლების ძირითად საფუძველს წარმოადგენს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა· ამის შესაბამისად, დაუსწრებელ განყოფილებათა და მათი საკონსულტაციო პუნქტების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მოსწავლეებში თვითგანვითარების, სახელ-

მძღვანელოებით, დამხმარე ლიტერატურით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებით, ბიბლიოგრაფიული ცნობებით სარგებლობის ჩვევების, აგრეთვე მიღებული ცოდნის გამოყენების უნარის ჩამოყალიბებას თავის შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

14. დაუსწრებელი განყოფილებები და მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები აწარმოებენ მუშაობას დაუსწრებელთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში; მათთვის აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, ხელს უწყობენ მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას.

15. დაუსწრებელი განყოფილებების V, VI, VII, IX და X კლასების მოსწავლეთა მომდევნო კლასში გადაყვანისა და VIII და XI კლასებში გამოცდების ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შესაბამისი ინსტრუქციით.

შენიშვნები: 1. VIII და XI კლასების მოსწავლეები გამოცდებს აბარებენ იმ საშუალო სკოლაში, რომლის შემადგენლობაში შედის მოცემული დაუსწრებელი განყოფილება.

2. V, VI, VII, IX და X კლასების მოსწავლეები აბარებენ გადასაყვან გამოცდებს იმ საგნებში, რომლებშიც მათ არა აქვთ ჩაბარებული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ჩათვლების რაოდენობა.

დაუსწრებლები, რომლებიც იღებენ კონსულტაციებს და ადგენენ საკონტროლო სამუშაოებს, გამოცდებს აბარებენ მოცემული კლასის კურსს ყველა სასწავლო საგანში.

3. გადასაყვანი გამოცდები დაუსწრებლებს შეუძლიათ ჩააბარონ როგორც დაუსწრებელ განყოფილებაში, ისე მის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში.

16. VIII კლასდამთავრებული დაუსწრებლები ღებულობენ მოწმობას, რომელიც იძლევა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შესვლის ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლებას, ხოლო XI კლასდამთავრებულები ღებულობენ ატესტატს, უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებით.

## III. დაუსწრებელი განყოფილების პედაგოგიური პერსონალი და სხვა მუშაკები

17. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების დაუსწრებელ განყოფილებათა შტატი დგება დაუსწრებელ განყოფილებათა ტიპობრივი შტატის შესაბამისად.

18. დაუსწრებელი განყოფილებისა და მისი სასწავლო საკონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულტაციო პუნქტების ხელმძღვანელობას ახორციელებს დაუსწრებელი განყოფილების გამგე.

დაუსწრებელი განყოფილების გამგეს ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარდგენით იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ უმაღლესი პედაგოგიური განათლება და გამოიჩინეს თავი როგორც კარგმა ორგანიზატორებმა და მეთოდისტებმა. ის ღებულობს ზომებს დაუსწრებელი განყოფილების და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების ნორმალური მატერიალური პირობებით უზრუნველსაყოფად, განყოფილების პედაგოგიური კადრებით სწორად დასაკომპლექტებლად; ღებულობს მოსწავლეებს, ხელმძღვანელობს განყოფილებებისა და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, ახორციელებს კონტროლს სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებაზე, ამოწმებს მასწავლებლის მუშაობას და მოსწავლეთა ცოდნის ხარისხს, სწავლობს და ნერგავს დაუსწრებელი განყოფილების დადებით გამოცდილებას; პასუხს აგებს სახარჯთაღრიცხვო-ფინანსიური დისციპლინის დაცვაზე და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი სახალხო განათლების ორგანოების ბრძანებათა და მითითებათა შესრულებაზე.

დაუსწრებელი განყოფილების გამგე მუშაობს იმ სკოლის დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობით, სადაც ჩამოყალიბებულია დაუსწრებელი განყოფილება.

19. დაუსწრებელი განყოფილების მეთოდისტს ნიშნავენ საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები და ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელთაგან. ის ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების სასწავლო-აღმზრდელობით და მეთოდურ მუშაობას, აგრეთვე იმ მოსწავლეებთან მუშაობას, რომლებიც კონსულტაციებისა და ჩათვლების მისაღებად მიმაგრებულია საშუალო და რვაწლიან სკოლებზე, უწევს მეთოდურ დახმარებას სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეებსა და მასწავლებლებს.

20. სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების უშუალო ხელმძღვანელობას სკოლის დირექტორი და რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით აკისრებს ამ სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს.

სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე პასუხისმგებელია

ამ პუნქტში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობაზე. ის ადგენს სასწავლო მეცადინეობის ცხრილს, ხელმძღვანელობს მასწავლებელთა კოლექტივს, აკონტროლებს მათ მუშაობას და აწარმოებს ამ მუშაობის აღრიცხვას, ღებულობს ზომებს მოსწავლეთა აკადემიურად ჩამორჩენილობისა და განთესვის თავიდან ასაცილებლად, აგრეთვე მოსწავლეთა სახელმძღვანელოებითა და სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობს გადასაყვანი გამოცდების ჩატარებას, დაუსწრებელი განყოფილების გამგის უდგენს ცნობებს მასწავლებელთა ხელფასსა და დადგენილ ანგარიშგებაზე.

**შენიშვნა:** საშუალო და რვაწლიან სკოლებში, რომლებზედაც ემაგრებიან დაუსწრებელ განყოფილებათა მოსწავლეები, როცა მათი სიმცირის გამო (60 კაცზე ნაკლები) შეუძლებელია სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გახსნა, დაუსწრებლებთან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას ხელმძღვანელობს დირექტორი ან ამ სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი.

21. დაუსწრებელ განყოფილებათა და მათ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მასწავლებლებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილების წარდგენით ნიშნავს საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრო, ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილება, უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე მასწავლებელთაგან.

მასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებაზე და მოსწავლეთა მომზადების ხარისხზე თავიანთ საგნებში.

22. დაუსწრებელ განყოფილებაში საქმის წარმოებას და საბუხჰალტრო აღრიცხვის წარმოებას სკოლის დირექტორი, სადაც ეს განყოფილებაა გახსნილი, ავალებს სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს ან სხვა მუშაკს, საშტატო ცხრილის შესაბამისად.

23. დაუსწრებელი განყოფილების გამგე, მასწავლებლები, მეთოდისტები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების გამგეები შედიან იმ სკოლის პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში, სადაც დაუსწრებელი განყოფილებაა გახსნილი.

## IV. მოსწავლეები

24. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 16 წლის ასაკიდან.

V, VI, VII კლასებში მიიღებიან მოქალაქენი, რომლებსაც არ აქვთ მიღებული შვიდწლიანი სკოლის კურსით გათვალისწინებული

განათლება, ხოლო VIII კლასში, რომელთაც აქვთ დამთავრებული შვიდწლიანი სკოლა.

IX კლასში მიიღებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ რვაწლიანი სკოლა ან ათწლიანი საშუალო სკოლის VIII კლასი, X და XI კლასებში კი ისინი, რომლებსაც დამთავრებული აქვთ შესაბამისად საღამოს (ცვლის) ან საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების IX და X კლასები. X კლასში შეიძლება მიღებულ იქნეს აგრეთვე ათწლიანი საშუალო სკოლის IX კლასდამთავრებული პირები.

დაუსწრებელ განყოფილებებზე შემსვლელმა უნდა წარადგინოს ცნობები განათლებისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

განათლების შესახებ ცნობის უქონლობის შემთხვევაში დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელი პირი ჩაირიცხება შესაბამის კლასში, მისი ცოდნის წინასწარი შემოწმების შემდეგ, მშობლიურ ენასა და მათემატიკაში.

დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლის მსურველთა განცხადების მიღება და მათი მოსწავლედ ჩარიცხვა ხდება 15 მაისიდან 25 აგვისტომდე.

25. დაუსწრებელი განყოფილებების მოსწავლეები სარგებლობენ იმ შეღავათებითა და უპირატესობებით, რომლებიც დადგენილია სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წლის 5 ნოემბრის № 1233 და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ იმავე წლის 19 დეკემბრის № 976 საღამოს (ცვლის, სეზონური) და ზოგადსაგანმანათლებლო დაუსწრებელი საშუალო სკოლების მოსწავლეთათვის.

26. დაუსწრებელ განყოფილებათა მოსწავლეები ვალდებული არიან დადგენილ ვადებში შეასრულონ გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაო და ჩააბარონ ჩათვლები. დაუსწრებლებმა, რომლებსაც, რაიმე საპატიო მიზეზების გამო არ აქვთ საშუალება თავის დროზე ჩააბარონ ჩათვლები, მათი სხვა ვადებში ჩაბარების ნებართვა უნდა მიიღონ დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგისაგან. დაუსწრებლები, რომლებიც თავის დროზე არ ჩააბარებენ ჩათვლებსა და არ შეასრულებენ საკონტროლო სამუშაოებს იმ საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით, სადაც ჩამოყალიბებულია დაუსწრებელი განყოფილება, შეიძლება გაირიცხონ მოსწავლეთა შემადგენლობიდან და ამის შესახებ ეცნობება იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების ადმინისტრაციებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც ისინი მუშაობენ,

27. დაუსწრებელი განყოფილებისა და მისი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტების მასწავლებელთა დახმარების გასაწევად სას-

წავლო-საალმზრდელო მუშაობის ორგანიზაციის საქმეში, თითოეულ კლასში მოსწავლეთა საკლასო კრებაზე ირჩევენ კლასის მამასახლისს ერთი წლის ვადით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## V. სასწავლო-მატერიალური ბაზა, დაფინანსება, აღრიცხვა და ანგარიშგება

28. დაუსწრებელი განყოფილებანი და მათი სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები თავსდება იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობებში, სადაც ისინი ჩამოყალიბებულია და სარგებლობენ სასწავლო კაბინეტებით, ამ სკოლების სამეურნეო და სასწავლო ხელსაწყოებით.

29. დაუსწრებელი განყოფილებები ფინანსდება ქალაქების, რაიონების და დაბების ბიუჯეტის ანგარიშზე.

30. დაუსწრებელი განყოფილებები საქმის წარმოებას და არქივს აწარმოებენ დადგენილი ფორმით. დაუსწრებელი განყოფილებების ფინანსიურ და სტატისტიკურ ანგარიშგებას სკოლები, სადაც ჩამოყალიბებულია ეს განყოფილებები, უდგენენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1962 წლის 31 მარტს, № 209 დადგენილებით დამტკიცებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დებულების შესახებ

1962 წლის 18 მაისი

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დებულება, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 209 დადგენილებით გამოქვეყნდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში, გამოიცეს ცალკე წიგნად და დაეგზავნოს განათლების ორგანოებს, სკოლებს, მათთვის შერჩეულ საწარმოო ბაზებსა და სათანადო უწყებებს.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) „დებულება საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების შესახებ“ განიხილონ კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე და სათანადო უწყებებთან ერთად ზუსტად იხელმძღვანელონ აღნიშნული დებულებით;

ბ) პერიოდულად შეამოწმონ აღნიშნული დებულების გატარების საქმე სკოლებსა და მათ საწარმოო ბაზებში და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 31 მარტის № 209
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა
# საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების შესახებ

## I. საწარმოო სწავლების მიზნები და ამოცანები

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო შრომითი პოლიტექნიკურ სკოლებში საწარმოო სწავლება ხორციელდება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მიღებული კანონის შესაბამისად. მისი ძირითადი მიზანია შეუერთოს სწავლება საწარმოო, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და მისცეს მოსწავლეებს პროფესიული მომზადება სახალხო მეურნეობის ან კულტურის ერთ-ერთ რომელიმე დარგში მუშაობისათვის.

11. მკურნალი ექიმი მშობლებთან შეთანხმებით შემრჩევ კომისიას წარუდგენს ვრცელ ამონაწერს ბავშვის ავადმყოფობის ისტორიიდან, რასაც თან ერთვის მონაცემები ტუბერკულინის რეაქციების ხასიათის შესახებ. გულმკერდის რენტგენოლოგიური გამო-

კვლევის, სისხლისა და შარდის ანალიზების შედეგების, გადატანილ ინფექციურ დაავადებათა და პროფილაქტიკური აცრების შესახებ. ამონაწერში შეტანილი უნდა იქნას აგრეთვე ბავშვებისათვის ჩასატარებელი გამაჯანსაღებელი და სამკურნალო ღონისძიების გეგმა.

12. შემრჩევი კომისია შერჩეული ბავშვების სიასა და სამედიცინო დოკუმენტაციას აგზავნის ქალაქის (რაიონის) სახალხო განათლების განყოფილებასა და აგრეთვე იმ წარმოებასა და ორგანიზაციებში, რომელთა სანატორიულ ბაგა-ბაღშიც იგზავნებიან ბავშვები.

სახალხო განათლების განყოფილებები, წარმოებები და ორგანიზაციები შემრჩევი კომისიის საბუთების საფუძველზე გასცემენ საგზურს მშობლებზე ბავშვის სანატორიულ ბაგა-ბაღში ჩასარიცხავად.

## V. სამედიცინო მაჩვენებლები ბავშვთა სანატორიულ ბაგა-ბაღში ჩასარიცხავად

13. სანატორიულ ბაგა-ბაღში ბავშვები მიიღებიან ტუბერკულოზის შემდეგი ფორმებით:

ა) პირველადი კომპლექსი და ბრონქოადენიტი გამკვრივების ფაზაში;

ბ) ნარჩენი მოვლენები გადატანილი ექსუდატური პლევრიტისა და პერიტონიტისა;

გ) ძვლის ტუბერკულოზის ჩამცხრალი ფორმები, როდესაც არ არის საჭირო ორთოპედიული ჩარევა;

დ) ტუბერკულინის სინჯის ვირაჟი ნაადრევი ინტოქსიკაციის მოვლენებით;

ე) I და II ხარისხის ქრონიკული ტუბერკულოზური ინტოქსიკაციით.

გარდა ამისა, სანატორიულ ბაგა-ბაღში მიიღებიან ბავშვები, რომლებსაც გადატანილი აქვთ ტუბერკულოზური მენინგიტი, იმ შემთხვევაში თუ ამ ავადმყოფის შემდეგ მათ ორი წლის მანძილზე მაინც ჩაუტარდათ სტაციონალური და სანატორიული მკურნალობა და ადგილი არ აქვს დარღვევებს ფსიქიკისა და ინტელექტის მხრივ.

**შენიშვნა:** სხვა თანაბარ პირობებში სანატორიულ ბაგა-ბაღში პირველ რიგში იგზავნებიან ბავშვები, რომლებსაც კონტაქტი აქვთ გადამდები ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულებთან ან რომელთა საყოფაცხოვრებო პირობები არადამაკმაყოფილებელია.

## VI. აღმზრდელობითი და სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობა

14. სანატორიულ ბაგა-ბაღებში აღმზრდელობითი მუშაობა ბავშვებთან ტარდება პროგრამის მიხედვით და საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მეთოდური მითითებების საფუძველზე, ბავშვების ჯანმრთელობის თავისებურებათა გათვალისწინებით.

15. სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი სანატორიულ ბაგა-ბაღებში ტარდება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მითითებათა შესაბამისად. ღონისძიებანი მიმართული უნდა იყოს ბავშვის საერთო ჯანმრთელობის განმტკიცების, ტუბერკულოზურ დაავადებათა განვითარების თავიდან აცილების, ტუბერკულოზური ინფექციის დაწყებითი გამოვლინების, მცირე და ჩამცხრალი ფორმების ტუბერკულოზურ ბავშვთა სრულ კლინიკურ გაჯანსაღებისაკენ.

ასეთ დაავადებათა შემთხვევაში მკურნალობა ტარდება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბაქტერიული პრეპარატებითა და სხვა საშუალებებით.

16. თითოეულ ბავშვზე სანატორულ ბაგა-ბაღში ივსება ავადმყოფობის ისტორია, რომელშიც ხდება მკურნალობის, გამოკვლევების და დაავადების მიმდინარეობის ფიქსირება; ბავშვის მდგომარეობის ფიქსირება წარმოებს 5 დღეში ერთჯერ.

სანატორიულ ბაგა-ბაღებიდან ბავშვების გასვლისას მკურნალობის შედეგების შესახებ უნდა ეცნობოს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერს. ხოლო სადაც ასეთი არ არის ბავშვთა პოლიკლინიკას. საერთო პოლიკლინიკის ბავშვთა განყოფილებას ან საავადმყოფოს.

## VII. ხელმძღვანელობა და შტატები

17. სანატორიული ბაგა-ბაღის სათავეში დგას გამგე, რომელსაც აქვს უმაღლესი ან საშუალო პედაგოგიური (სკოლამდელი) განათლება და პრაქტიკული მუშაობის არანაკლები 3 წლის სტაჟი.

18. სანატორიული ბაგა-ბაღის აღმზრდელებად შეიძლება მუშაობდნენ ის პირები, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო პედაგოგიური (სკოლამდელი) განათლება და საბავშვო დაწესებულებაში აღმზრდელობითი მუშაობის არანაკლებ სამი წლის სტაჟი, ხოლო ბაგის პირველ ჯგუფში დაინიშნება სამედიცინო და, რომელსაც აქვს დამთავრებული სამედიცინო სკოლა.

სანატორიული ბაგა-ბაღის ექიმი უნდა იყოს პედიატრი, ან პედიატრ-ფტიზიატრი.

სანატორიული ბაგა-ბაღი ადმინისტრაციული, პედაგოგიური, სამედიცინო და მომსახურე პერსონალით კომპლექტდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სანატორიული ბაგა-ბაღის ტიპიური შტატების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII. დასკვნითი დებულებანი

ბაგა-ბაღის ადმინისტრაციული, სააღმზრდელო, სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობა, რაც წინამდებარე დებულებით არ არის გათვალისწინებული, წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 მაისის № 338 დადგენილებით ბაგა-ბაღებისათვის დამტკიცებული დროებითი დებულების მიხედვით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფ. დახმარების სამმართველოს უფროსი თ. ჟორჟოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი ვ. ი. ჩინჩალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1962 წლის 12 მაისი

შემოწმებით დადასტურდა, რომ სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოების ერთ ნაწილს სწორად აქვს გაგებული დაკისრებული მოვალეობანი და კარგად მუშაობს.

ასე, მაგალითად, ბათუმის რაიონის სოფ. **კირნათის** სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს (თავმჯდომარე შ. დოლიძე) დახმარებით, გასულ წელს, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების პერიოდში სკოლა-ინტერნატს გამოეყო საშენი მასალები, შემოიღობა მისი ეზო, მოეწყო ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, მოიხნა ნაკვეთი, შემოწმდა აღსაზრდელთა ჩაცმა-დახურვის, კვების და პირადი ჰიგიენის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების მიზნით გატარდა ქმედითი ღონისძიებანი. გურჯაანის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს (თავმჯდომარე მ. თოდაშვილი) დახმარებით სკოლა-ინტერნატს გამოეყო 6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, მოიხნა იგი და ჩატარდა სავენახე ფართობის პლანტაჟი, დაირგა 1000 ძირი კაკლის, კანადის ვერხვისა და აკაციის ნარგავები. **ქუთაისის** № 1 სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს (თავმჯდომარე დ. სვანაძე) უნარიანად აბამს დამხმარე საქმიანობაში ინტერნატის საშეფო ორგანიზაციებს; ქუთაისის ელექტრო-მექანიკურმა ქარხანამ ახალი სასწავლო წლისათვის დაამონტაჟა სკოლის სახელოსნოები, მაცივარი, სასადილოს ელექტრომანქანები, დაამზადა რკინის ყუთები, წყალგაყვანილობისათვის გამოჰყო მილები, შეაკეთა გათბობის ქსელი, ხოლო მეორე საშეფო ორგანიზაციამ — ქუთაისის გამწვანების კანტორამ ჩაატარა სკოლა-ინტერნატის ეზოს კეთილმოწყობა. დასახელებული მზრუნველთა საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს აღსაზრდელთა ნორმალურად კვებისა და ჩაცმა-დახურვის საქმეს; ყურადღების ცენტრშია შრომითი აღზრდაც. სახელოსნოები შევსებულია საჭირო მოწყობილობით და ნორმალურად მიმდინარეობს შრომითი სწავლება. ამავე მზრუნველთა საბ-

ქოს ინიციატივით მოწყობილია კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, შეძენილია 2800 მანეთის სპორტული ინვენტარი და სპორტ-ტანსაცმელი; ფართოდაა გაშლილი სკოლისგარეშე მასობრივი მუშაობა: აღსაზრდელებმა შეხვედრები მოუწყვეს ქალაქის მოწინავე ადამიანებს, პარტიის 22-ე ყრილობის დელეგატს ჯელიას და ელექტრომექანიკური ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს; მოეწყო მეგობრული საღამოები ვეტერან პიონერებთან; ჩატარდა ექსკურსიები სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში და სხვ. მზრუნველთა საბჭო სისტემატურ ყურადღებას აქცევს აღსაზრდელთა ჯანმრთელობისა და სანიტჰიგიენური პირობების დაცვის საქმეს. **ატენის** სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს (თავმჯდომარე შ. ლოთიშვილი) დახმარებით მოეწყო რადიოკვანძი, შეძენილი იქნა სასულე და სიმებიანი ორკესტრისათვის ინსტრუმენტები, დაირგო 3000 ძირი ხე; შეძენილია სპორტული ინვენტარი, გაკეთებულია კვალსათბურები, მოეწყო სადურგლო და საზეინკლო სახელოსნოები.

დასახელებულ საბჭოებთან ერთად დამაკმაყოფილებლად მუშაობენ **მახუნცეთის** სკოლა-ინტერნატის (თავმჯდომარე შ. ქორიძე), **ქიათურის** სკოლა-ინტერნატის (თავმჯდომარე პ. ბიწაძე), **წულუკიძის** სკოლა-ინტერნატის (თავმჯდომარე ა. ჭეჟია), და ზოგი სხვა სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოებიც.

ამასთანავე განთიადის № 1 და № 2, ბათუმის № 1, № 2, № 3, ჩაისუბნის, თბილისის № 3 და ზოგიერთი სხვა სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოები ფორმალურად არსებობენ და არავითარ მუშაობას არ ატარებენ სკოლა-ინტერნატებისათვის ხელისშეწყობის მიზნით; მზრუნველთა საბჭოები დღემდე სრულებით არა ჰყავთ კოჯრის, ბეთანიის, გეგეჭკორისა და სალხინოს სკოლა-ინტერნატებს, ხოლო მარნეულის სკოლა-ინტერნატში ნაცვლად მზრუნველთა საბჭოსი, შექმნილია მშობელთა საბჭო.

ამ დარგში არსებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ.

1. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს და სკოლა-ინტერნატის დირექტორებს მიმდინარე წლის 20 ივნისამდე ჩამოაყალიბონ მზრუნველთა საბჭოები, სადაც ასეთი არ არსებობს და მათი მუშაობა წარმართონ არსებული დებულების საფუძველზე.

2. სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობის განზოგადების მიზნით გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ სისტემატურად მოათავსოს მასალები მზრუნველთა საბჭოების მუშაობის შესახებ.

3. დაევალოს სკოლა-ინტერნატებზე მიმაგრებულ მუშაკებს შეისწავლონ მზრუნველთა საბჭოების მუშაობა და აღმოუჩინონ მათ ადგილზე პრაქტიკული დახმარება.

ეროვნული

4. დაევალოს განათლების განყოფილებათა გამგეებს ყოველი წლის დეკემბრის 15-25 რიცხვებში წარმოადგინონ განათლების სამინისტროში ანგარიში სკოლა-ინტერნატების მზრუნველთა საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1962 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ახმეტისა და მარნეულის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1962 წლის 12 მაისი

შემოწმებით დადასტურდა, რომ ახმეტისა და მარნეულის რაიონების საბავშვო ბაღების როგორც სასწავლო-სააღმზრდელო, ასევე საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. საბავშვო ბაღების დიდი ნაწილი მოთავსებულია შეგუებულ შენობებში; მათი ეზოები კეთილმოუწყობელია, არაა გამოყოფილი მიწის ნაკვეთები ბოსტნისა და ყვავილნარისათვის, ბავშვებისათვის არ ეწყობა დღის ძილი, ბაღები არაა მიმაგრებული საშეფო ორგანიზაციებზე.

ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბავშვო ბაღი არ არის უზრუნველყოფილი დგამ-ავეჯით, საბავშვო ლიტერატურით, სათამაშოებით; ბაღის გამგეს ე. ლუხუმაიძეს და აღმზრდელ მ. მუმლაურს არ აქვთ სამუშაო გეგმა; დროულად არ სწარმოებს აღსაზრდელთა კვების თანხის აკრეფა და მისი ჩარიცხვა ბანკში; ბაღს არა ჰყავს სრული კონტინგენტი და ამასთან ბავშვები დიდი რაოდენობით აკლდებიან მეცადინეობას. საბავშვო ბაღში ჩარიცხული 23 ბავშვიდან ყოველდღიურად ესწრება მხოლოდ ათი-თორმეტი.

მარნეულის საბავშვო ბაღი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. კედლები ჩამონგრეულია; სასურსათო საწყობში პროდუქტები ინახება უწესრიგოდ; ბავშვებში არაა დანერგილი პირადი ჰიგიენისა და კულტურული ქცევის ჩვევები; თანამშრომლებს შორის არაა კოლეგიალური დამოკიდებულება. მუსიკის მასწავლებელი ა. კონსტანტინოვსკაია პედაგოგისათვის შეუფერებელი სიტყვებით მიმართავს საბავშვო ბაღის თანამშრომლებს; არადამაკმაყოფილებლად მუშაობს საბავშვო ბაღის მოანგარიშე ქ. სიმონოვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მარნეულისა და ახმეტის რაიონების საბავშვო ბაღების გამგეებმა: ა) მკვეთრად გააუმჯობესონ პედაგოგიურ-აღმზრდელო-

ბითი მუშაობა, სისტემატურად დაესწრონ აღმზრდელთა მეცადინეობაზე და გაუწიონ მათ საჭირო მეთოდური დახმარება;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კალენდარული და ყოველდღიური სამუშაო გეგმების შედგენას და მათი დროულად შესრულების საქმეს; გეგმით გაითვალისწინონ პროგრამული საკითხების განხორციელების ხერხები და მეთოდები, დაიცვან კავშირი და თანმიმდევრობა დასამუშავებელ მასალაში და სათანადო ანგარიში გაუწიონ აღსაზრდელთა ინდივიდუალურ თავისებურებებს;

გ) სისტემატურად იმუშაონ აღსაზრდელთა პირადი ჰიგიენის მოწესრიგებისა და მათში კულტურული ქცევის მტკიცე ჩვევების დანერგვისათვის;

დ) ძირითად ამოცანად დაისახონ პედაგოგიური კოლექტივის შემჭიდროება და უზრუნველყონ მათში კოლეგიალური ურთიერთობის დამყარება;

ე) ეფექტური ზომები მიიღონ საბავშვო ბაღების უზრუნველყოფისათვის ბავშვთა ასაკისათვის შესაფერისი დგამ-ავეჯით;

ვ) მტკიცედ დაიცვან აღსაზრდელთა კვების ნორმები, დროულად აკრიფონ თანხები და მათი ხარჯვა აწარმოონ მხოლოდ საბანკო ოპერაციების წესით;

ზ) უზრუნველყონ ეზოების კეთილმოწყობა, საბოსტნე და საყვავილე მიწის ნაკვეთის გამოყოფა-დამუშავება.

2. ახმეტისა და მარნეულის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) განახორციელონ ქმედითი ზომები საბავშვო ბაღების მატერიალური ბაზის განმტკიცების მიზნით;

ბ) გამოუყონ საბავშვო ბაღებს შენობა-ნაგებობათა კაპიტალური რემონტისათვის საჭირო თანხები და ახალი სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ სარემონტო სამუშაოების მთლიანად დამთავრება;

გ) მოამარაგონ საბავშვო ბაღები საჭირო ინვენტარით, სასწავლო-დიდაქტიკური მასალებით და სათამაშოებით;

დ) რეგულარულად შეამოწმონ საბავშვო ბაღების მუშაობა და აღმოუჩინონ აღსაზრდელებს საჭირო დახმარება;

ე) უზრუნველყონ საბავშვო ბაღებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მტკიცედ დაცვა.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ მარნეულის საბავშვო ბაღის გამგე ქ. მელიქიძე სუსტი მუშაობისათვის მოხსნილია სამუშაოდან.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1962 წლის კოლეგიის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საუწყებო არქივის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

1962 წლის 15 მაისი

სამინისტროს საუწყებო არქივს უკავია შესაფერი ბინა. არქივში დაცულია 18 ფონდის დოკუმენტური მასალა 23.736 საქმის რაოდენობით. ამ მასალებში მდიდრადაა წარმოდგენილი რესპუბლიკის სახალხო განათლების განვითარების ისტორია. არქივში დაცული დოკუმენტური მასალები მოყვანილია საარქივო-ტექნიკურ წესრიგში.

მიუხედავად ამისა, საუწყებო არქივის საქმიანობას გააჩნია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები. მუდმივ შესანახ დოკუმენტებთან ერთად არქივში ინახება ისეთი მასალები, რომლებმაც დაკარგეს საცნობარო მნიშვნელობა, არქივი გადატვირთულია, საქმეები დაფარულია მტვრით, ძლიერი სინათლის გავლენით ბევრ შენაკრავზე გაქეთებულ იარლიყებს არ ემჩნევა წარწერები.

არ არის გამოყოფილი პირადი შემადგენლობის მასალებიდან საერთო ხასიათის მასალები და მათზე შედგენილი საინვენტარო აღწერილობანი.

სისტემატურად არ მუშაობს საექსპერტო კომისია, რის გამო არქივი არ არის განტვირთული მნიშვნელობადაკარგული მასალებისაგან.

არქივში სამინისტროს სტრუქტურულ დანაყოფებიდან საქმეების მიღების წესები დარღვეულია. მუდმივ შესანახ საქმეებთან ერთად ინახება დროებითი შენახვის ვადის მქონე საქმეებიც. საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მასალები არქივში დაცულია მხოლოდ 1952 წლის ჩათვლით, დანარჩენი წლებისა კი ინახება თვით სამმართველოში.

არქივში ინახება ყოფილი პედსასწავლებლების განყოფილების მოუწესრიგებელი დოკუმენტური მასალები.

გაცემულ ცნობებში არქივი არ მიუთითებს საფუძველს, ფონდს, საქმის გვერდს, არ უჩვენებს ამონაწერია იგი, თუ მთლიანი დოკუმენტი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. არქივის გამგემ ამხ. ც. სიხარულიძემ მიიღოს გადამჭრელი ზომები არქივის საქმიანობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა უახლოეს დროში აღმოსაფხვრელად, რისთვისაც:

ა) 1929—1950 წლების საარქივო მასალებიდან გამოიყოს საცნობარო მასალები. საარქივო მასალები დამუშავდეს და შედგეს ახალი გაუმჯობესებული აღწერილობა;

ბ) აიწეროს პირადი შემადგენლობის მასალები და უზრუნველყოფილი იქნეს ადგილზე მათი 40 წლის მანძილზე დაცვა-შენახვა;

გ) გამოეცვალოს შენაკრავებს ძველი იარლიყები და გაუკეთდეს ახალი, სათანადო წარწერებით;

დ) არ მიიღოს არქივში საარქივო-ტექნიკური წესით დაუმუშავებელი მასალები.

2. შენახვის ვადაგასული მასალებისაგან არქივის განტვირთვის მიზნით საექსპერტო კომისიამ გააძლიეროს მუშაობა დოკუმენტური მასალების ექსპერტიზის დარგში.

3. სრულ წესრიგში იქნას მოყვანილი ყოფილი პედინსტიტუტებისა და პედსასწავლებლების განყოფილების დოკუმენტური მასალები.

4. კანცელარიის გამგემ ამხ. ე. კავკასიძემ შეიმუშაოს მიმდინარე საქმისწარმოებაში საქმეთა ნომენკლატურა და საარქივო სამმართველოსთან მისი შეთანხმების შემდეგ შემოღებულ იქნეს იგი სამინისტროს საქმისწარმოებაში.

5. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსმა ამხ. ვ. ქეშელავამ გააძლიეროს კონტროლი არქივის საქმიანობასა და ამონაწერების გაცემის საქმეზე.

არქივიდან ყოველგვარი ცნობები გაიცეს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის და არქივის გამგის ხელმოწერით.

6. ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ და ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებებმა მოიყვანონ წესრიგში საარქივო დოკუმენტური მასალები და დროულად გადასცენ ისინი ადგილობრივ არქივებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება

1962 წლის 20 მარტი

**1961—1962 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით:**

## აფხაზეთის ასსრ

1. ქირია გენადი პეტრეს ძე—გაგრის რაიონის ახალაძის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი
2. კაცია ალექსანდრე მიხეილის ძე—ოჩამჩირის რაიონის აძუბჟის საშუალო სკოლის დირექტორი
3. ცაბრავა ამბაკო ალექსანდრეს ძე—სოხუმის რაიონის ახალი სოფლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე
4. თორდია არსენ გუსარის ძე—ქ. ტყვარჩელის № 4 შვიდწლიანი სკოლის დირექტორი
5. კაცია ბაგრატი ანტონის ძე—აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

## სამხრეთ ოსეთის ა/ო

1. მამისაშვილი არჩილ ლაზარეს ძე—ცხინვალის რაიაღმასკომის თავ-რე
2. ტურაშვილი შალვა ზაქარიას ძე—ცხინვალის რაიონის დისევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
3. ძაგოევი გიორგი იოსების ძე—სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების გამგე
4. ჯიოევი კონსტანტინე მიხეილის ძე—ცხინვალის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
5. გაზაევი ფედრო სულიკოს ძე—ცხინვალის რაიონის ქურთას რვაწლიანი სკოლის დირექტორი

6. ხაბალაშვილი ივანე ვლადიმერის ძე—საქართველოს კპ ცხრო-ნვალის რაიკომის პირველი მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ბიაზოვი მიხეილ გრიგოლის ძე—ჯავის რაიონის თედელეთის საშუალო სკოლის დირექტორი

8. ჯუსოევი გიორგი ნიკოლოზის ძე—საქართველოს კპ ზნაურის რაიკომის პირველი მდივანი

9. თხელიძე გიორგი თოდეს ძე—ზნაურის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

10. გაგიევი გიორგი ილიას ძე—ზნაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

11. სიკტურაშვილი როსტომი ივანეს ძე—ზნაურის რაიონის ავნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

12. ხასიევი ვლადიმერ იასონის ძე—ზნაურის რაიონის კორნის საშუალო სკოლის დირექტორი

## ხობის რაიონი

1. ქემულარია შალვა ლავრენტის ძე—ახალი ხიბულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. ლაგვილავა კირილე ნესტორის ძე—ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

## ცხაკაიას რაიონი

1. შონია გრიგოლ პავლეს ძე—ფოცხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. ბარამია ნიკოლოზ გერასიმეს ძე—ძველი სენაკის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

## ტყიბულის რაიონი

1. რატიანი ლევან ბესარიონის ძე—ტყიბულქვანახშირის ტრესტის მძართველი

## ზუგდიდის რაიონი

1. ხვიტია ვლადიმერ ვარლამის ძე—ინგურმშენის კანტორის უფროსი

2. ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე—საქ. ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი

3. კვანჭიანი ვლადიმერი ქავზაიას ძე—ზუგდიდის რაიონის განმუხურის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი

4. დარასელია შოთა გუჯუს ძე—ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის დირექტორი

5. მაქაცარია გიორგი თადას ძე—ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ფაცაცია ოთარი ამბაკოს ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის მეორე მდივანი

7. ახალაია აბრამი ალექსის ძე—ზუგდიდის რაიონის კორცხელი-ბაშის დაწყებითი სკოლის გამგე

8. ჭეჟია ანტიფო მარკოზის ძე—ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავ რის მოადგილე

9. აბრალავა გიორგი მიხეილის ძე—ზუგდიდის პირველი რვაწლიანი სკოლის დირექტორი

10. მიქენაია რებეკა ერმინეს ასული—ზუგდიდის მესამე რვაწლიანი სკოლის დირექტორი

11. ქარჩავა კანალია ბარნობის ძე— ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი

12. ჩიხლაძე დუღუ მიხეილის ძე—„საქჩაის“ ტრესტის ზუგდიდის მექანიკური სახელოსნოს დირექტორი

13. ბალათურია ხუტა ელიზბარის ძე—ზუგდიდის რაიონის ინგირის სკოლა-ინტერნატის დირექტორი

14. ქორთუა ისაკი—რაიონული გაზეთის—„მებრძოლის“ რედაქტორი

## გორის რაიონი

1. გელაშვილი დავით ვასილის ძე—სოფ. ხელთუბნის კოლმეურნეობის თავ-რე

## ბორჯომის რაიონი

1. ბარძიმაძე შალვა სერგოს ძე—სოფ. ჭიხარულის კოლმეურნეობის თავ-რე

2. ბოკუჩავა ნიკოლოზ—ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი

## თელავის რაიონი

1. კირვალიძე ქიტესა იოსების ძე—სოფ. ვანთის კოლმეურნეობის თავ-რე

2. ჩხოტუა ნიკოლოზ ლევანის ძე—წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

## სიღნაღის რაიონი

1. ბიკაშვილი ივანე ნიკოლოზის ძე—სოფ. ბოდბის კოლმეურნეობის თავ-რე

2. გაჩეჩილაძე მერი ტრიფონის ასული—სოფ. ნუკრიანის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვანის რაიონი

1. ძაგნიძე გრიგოლ სამსონის ძე—ვანის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

### ქ. ქუთაისი

1. ცქვიტინიძე უჩა ფოკას ძე—ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

2. ვარდანაშვილი თამარ ზაქარიას ასული—საქ. კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

3. კუპრეიშვილი გივი ირაკლის ძე—ქ. ქუთაისის სამშენებლო ტრესტის უფროსი

4. თევდორაძე ჭიჭიკო თეოფილეს ძე—ქ. ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი

5. ლორთქიფანიძე ვალერიან ვალერიანეს—ძე ქ. ქუთაისის სპეციალიზებული სამშენებლო კანტორის უფროსი

6. ტატუნაშვილი ვახტანგ ივანეს ძე—„სანტექმონტაჟის“ ქუთაისის კანტორის უფროსი

7. ჟორჟოლიანი აკაკი ილარიონის ძე— ქუთაისის მე-16 საშუალო სკოლის დირექტორი

8. გვეტაძე არკადი სერგოს ძე—ქ. ქუთაისის № 1 სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე

9. კოკოჩაშვილი თეიმურაზ კონსტანტინეს ძე—ქ. ქუთაისის მე-14 საშ. სკოლის დირექტორი

10. ბოკერია ოთარ მიხეილის ძე—ქუთაისის პიონერთა სასახლის დირექტორი

11. წულეისკირი ივანე პეტრეს ძე— ქ. ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლის დირექტორი

### ქ. თბილისი

1. ზერეკიძე ირაკლი იოსების ძე—თბილისის ელმავლის მშენებელი ქარხნის დირექტორი:

2. ტაგანაშვილი ვიქტორი გიორგის ძე—ამიერკავკასიის № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უფროსი

3. ხვედელიანი იაკობ რომანის ძე—დიმიტროვის სახ. ქარხნის დირექტორი

4. ინგოროყვა ილია გიორგის ძე — საბურთალოს აგურის ქარხნის დირექტორი

5. შათირიშვილი ერემია ვასილის ძე — 37-ე საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ სამეურნეო დარგში

6. მოროზოვი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე — 72-ე საშ. სკოლის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში

7. ლეჟავა კონსტანტინე დავითის ძე — კრწანისის გიგანტის სკოლის დირექტორი

8. ლურჭუმელია თინათინი გედევანის ასული — ქ. თბილისის განათლების განყოფილების ინჟინერი

9. ჯიქია ვლადიმერი დიმიტრის ძე — ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

10. ჭანიშვილი ქეთევანი სიმონის ასული — ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

11. ლებანიძე ეკატერინე ლუკას ასული — კალინინის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

12. ხოშტარია სიმონი სამსონის ძე — 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

13. მჭედლიძე ანდრო გერმანეს ძე — 53-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

## ტყიბულის რაიონი

1. ანიუკინი მიხეილი ივანეს ძე — განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი;

2. ბრეგაძე ტატიანა ვლადიმერის ას. — საქ. კპ ტყიბულის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე;

3. ქასრაშვილი ასტიონ გრიგოლის ძე — ნახშირმომარაგება-გასაღების ტყიბულის კანტორის უფროსი;

4. მორჩაძე დავით ილიას ძე — სოფ. კოკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე;

5. კეჭეხმაძე ანტონ ნოეს ძე — ტყიბულის № 2 სატვირთო ავტო-სატრანსპორტო კანტორის უფროსი;

6. გოცირიძე ვასილ ნიკოლოზის ძე — ტყიბულის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო კანტორის უფროსი.

7. კუბლაშვილი შოთა ამბროსის ძე — ხრესილის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

8. ბოჭორიშვილი ალექსანდრე მირმენის ძე — ტყიბულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მდივანი.

9. ოსოლაძე ვენედიქტე ილარიონის ძე — ხრესილის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება

1962 წ. 13 აპრილი

**1961—1962 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით:**

აჭარის ასსრ

ხულოს რაიონი

1. ხოზრევანიძე ქაზიმ რიზას ძე—რიყეთის საშუალო სკოლის დირექტორი
2. ანთაძე ნური მუხამედის ძე—გორგაძეების შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

შუახევის რაიონი

1. ფუტკარაძე სულეიმან ხუსეინის ძე—ს. ღლვანის კოლმეურნეობის წევრი, მშენებლობის ბრიგადირი
2. თურმანიძე ოთარ მამუდის ძე—ცინარეთის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

ქედის რაიონი

1. ქათამაძე ნური ზექერიას ძე—ს. ოქტომბრის კოლმეურნეობის თავ-რე
2. გოჩაძე ვლადიმერ ოსმანის ძე—ს. უჩხითის კოლმეურნეობის თავ-რე
3. ჯაყელი ოთარი ხასანის ძე—ცხმორისის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი
4. შარაძე ვლადიმერ დაუთის ძე—სოფ. ინაშარიძეების კოლმეურნეობის თავ-რე

## ქობულეთის რაიონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ცეცხლაძე შოთა თევრათის ძე — ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
2. დევაძე ჰაიდარ მურადის ძე — ულიანოვკის ვ. სტურუას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

## ქ. ბათუმი

1 ზარელუა ვლადიმერი ექვთიმეს ძე — ქ. ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი
2. ჯორბენაძე პლატონ ივანეს ძე — ქ. ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი
3. ნოღაიდელი ილია ხუსეინის ძე — ქ. ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი.

## ტყიბულის რაიონი

1. ლომაძე კარლო მელიტონის ძე — საქართველოს კპ ტყიბულის რაიკომის პირველი მდივანი
2. გოცირიძე ჯიმშერ ვარლამის ძე — საქართველოს კპ ტყიბულის რაიკომის მეორე მდივანი
3. გიორგობიანი ილია დიმიტრის ძე — მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
4. ნასარეია გრიგოლ ნესტორის ძე — განათლების განყოფილების გამგე
5. რატიანი ლეონტი ბესარიონის ძე — ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მმართველი
6. მამფორია არჩილ აკაკის ძე — „საქშახტმშენის" ტრესტის ტყიბულის სამშენებლო სამმართველოს უფროსი
7. ტურძილაძე ვახტანგი სიმონის ძე — განათლების განყოფილების პედკაბინეტის გამგე
8. ახვლედიანი ბიკენტი ერმილეს ძე — განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი
9. ობოლაძე ნაზი მელიტონის ასული — ხრესილის საშუალო სკოლის დირექტორი
10. ობოლაძე ლევან ერმილეს ძე — ხრესილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

**განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის დადგენილება**

ბიბლიოთეკა

1961—1962 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში აქტიურ მონაწილეთა საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1962 წლის 20 მარტი

1961—1962 სასწავლო წლისათვის სკოლების სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით

### აჭარის ასსრ

### ქობულეთის რაიონი

1. ნოღაიდელი დურსუნ ოსმანის ძე—ქობულეთის რაიონის ჭახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
2. ბაქუნაშვილი მიხეილ ჯემალის ძე—ქობულეთის რაიონის ცხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

### ხულოს რაიონი

1. დეკანაძე აგრაფინა ასლანის ასული—მშრომელთა დეპუტატების ხულოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავ-რე
2. მეგრელაძე ვლადიმერ რაჟდენის ძე—ხულოს რაიონის აგარის საშუალო სკოლის დირექტორი
3. თავართქილაძე გივი მერჯანის ძე—ხულოს რაიონის ჩხის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

### შუახევის რაიონი

1. ვაშალომიძე მაქსიმე თეოფილეს ძე—შუახევის რაიონის შუბნის საშუალო სკოლის დირექტორი
2. დავითაძე დურსუნ მემედის ძე—შუახევის რაიონის დაბაძველის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
3. მახარაძე ვლადიმერ თევროთის ძე—შუახევის რაიონის მაღლაკიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე

## ქედის რაიონი

1. გოჩაძე მევლუდ ალის ძე—ქედის რაიონის უჩხითის კოლმეურნეობის წევრი

2. ბალაძე შალვა მერჯანის ძე—ქედის რაიონის გეგელიძეების დაწყებითი სკოლის გამგე

3. ხალვაში სელიმ ბილალის ძე—ქედის რაიონის გეგელიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე

4. ბაჯელიძე სარდიონ ახმედის ძე—ქედის რაიონის ოქტომბრის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

5. გვარიშვილი უშანგი ზებურის ძე—ქედის რაიონის უჩხითის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

6. ბეთანიძე ოთარი ყემბერის ძე—ქედის რაიონის მერისის საშუალო სკოლის დირექტორი

7. გედევანიძე ალექსი ივანეს ძე—ქედის რაიონის ინაშხიძეების შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

## ქ. ბათუმი

1. ბოლქვაძე ბორის ანთიმოზის ძე—ქ. ბათუმის ქარხანა ელექტროკარის დირექტორი

2. დოლიძე სერგო სოლომონის ძე—ქ. ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორი

3. ჯანიკაშვილი ვასო—ქ. ბათუმის ელექტრონაკეთობათა ქარხნის დირექტორი

4. ცინცაძე ახმედ მემედის ძე—ბათუმის რაიონის სოფ. მეჯინისწყლის კოლმეურნეობის წევრი

## აფხაზეთის ასსრ

## გუდაუთის რაიონი

1. ოკუჯავა კირილე ალექსანდრეს ძე—გუდაუთის რაიონის აბგარხუკის საშუალო სკოლის დირექტორი

2. ბარცის ევდოკია დავითის ასული—გუდაუთის საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

## გაგრის რაიონი

1. პაპავა თაპა კონსტანტინეს ასული—გაგრის № 4 საბავშვო ბაღის გამგე

## ოჩამჩირის რაიონი

1. ვომანოვა ანა სერგოს ასული—ოჩამჩირის შვიდწლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტყვარჩელის რაიონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. ვარდიაშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე—ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მმართველი

## გალის რაიონი

1. ფაცურია ნუცა კონსტანტინეს ასული—გალის რაიონის წარქვის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

## სოხუმის რაიონი

1. ტიშენკო ზინაიდა ივანეს ასული—სოხუმის რაიონის ზემო ბურსის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი

## სამხრეთ ოსეთის ა/ო

## ცხინვალის რაიონი

1. ნამშურიძე გაიოზ ალექსანდრეს ძე—ცხინვალის რაიონის ბელოთის საშუალო სკოლის დირექტორი
2. გოიაევი ზაური ყარამანის ძე—ცხინვალის რაიონის არცევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
3. ოსთაევა ნადეჟდა სერგის ასული—ცხინვალის რაიონის ქსუისის საშუალო სკოლის დირექტორი
4. ბაციკაძე მიხეილი ივანეს ძე—ცხინვალის რაიონის ვანათის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
5. ზარდიაშვილი თამარი ილიას ასული—ცხინვალის რაიონის კეხვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
6. ღუდაევი თადეოზ დავითის ძე—ცხინვალის რაიონის ბიკარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე
7. თასოევი ივანე ნიკოლოზის ძე— ცხინვალის რაიონის რუსთავის საშუალო სკოლის დირექტორი
8. ვალიევი იოსები გიორგის ძე—ცხინვალის რაიონის ზაინკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
9. ცხოვრებოვი კარლო ლაზარეს ძე—საქართველოს კპ ცხინვალის რაიკომის აგიტაციისა და პროპაგანდის განყ-ბის გამგე
10. გოგინაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე—ცხინვალის რაიონის ხეითის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

## ზნაურის რაიონი

11. მაისურაძე სოსო ეფიმის ძე—ზნაურის რაიონის თიგვის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი
12. გათიკოევი ივანე სამსონის ძე—ზნაურის რაიონის იკონის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი
13. თხელიძე იოსები სარდიონის ძე—ზნაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

14. ოდიკაძე რომანი ვასილის ძე — ზნაურის რაიონის ფიცვინის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

15. ტოროშელიძე გაიოზი ნიკოლოზის ძე — ზნაურის რაიონის ნულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. გოგოლაძე ვახტანგი სარდიონის ძე — ზნაურის რაიონის ქალეთის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

17. ლოხოვი ალექსი მიხეილის ძე — ზნაურის რაიონის ადგილმრეწველობის კომბინატის დირექტორი

18. ზასეევი გერსან ნიკოლოზის ძე — ზნაურის რაიონის ოქონის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელი

19. გაგლოევი პავლე დიმიტრის ძე — ზნაურის რაიონის წნელისის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

20. გობეჯიშვილი მართა იასონის ასული — ზნაურის რაიონის ნულის შვიდწლიანი სკოლის დირექტორი

## ხობის რაიონი

1. გოგუა აპოლონ კაპიტონის ძე — ხობის რაიონის ბიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. შუბლაძე მიხეილი ამბაკოს ძე — კოლხიდმშენის მეორე სამშენებლო განყოფილების უფროსი

3. ხორავა ვარლამ მიხეილის ძე — ხობის რაიონის ციტრუსების ხეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

## ტყიბულის რაიონი

1. მორჩაძე დავით ილიას ძე — ტყიბულის რაიონის კოკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

2. ჯალაღანია ბორის დარისპანის ძე — ტყიბულის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის შახტის უფროსი

3. ახვლედიანი ბიკენტი ერმილეს ძე — პროფკავშირის ტყიბულის რაიკომის თავმჯდომარე

## გორის რაიონი

1. აბაიაძე ივანე თევდორეს ძე — გორის რაიონის ხურვალეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

2. მღებრიშვილი არტემ ივანეს ძე — გორის რაიონის ქახვრელის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

3. კოლტაშვილი დავით ალექსანდრეს ძე — გორის რაიონის შერთულის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

## ბორჯომის რაიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. თედიაშვილი ბუდო თადეოზის ძე—ბორჯომის რაიონის პატარა მიტარბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
2. შუბლაძე ვალერიან ივანეს ძე—ბორჯომის რაიონის ბაკურიანის სატყეო მეურნეობის დირექტორი
3. კიკნაძე სერგო ვალერიანის ძე—ბორჯომის რაიონის ახალდაბის საავეჯო ქარხნის დირექტორი

## თელავის რაიონი

1. ყარაულაშვილი იოსები გიორგის ძე—თელავის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის დირექტორი
2. გიორგანაშვილი შალვა ილიას ძე—თელავის რაიონის ბუშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
3. მერაბიშვილი გიორგი დიმიტრის ძე—თელავის რაიონის კონდოლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
4. საგინაძე გიორგი ვასილის ძე—თელავის რაიონის ქვედა ხოდაშნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

## სიღნაღის რაიონი

1. მჭედლიშვილი გიორგი ნასყიდას ძე—სიღნაღის რაიონის ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
2. ჩახნაშვილი ივანე ბასილის ძე—სიღნაღის რაიონის საქობოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე
3. უნაფქოშვილი ნატალია მიხეილის ასული—სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის ადგილკომის თავმჯდომარე
4. ჯალიაშვილი ბიძინა გიორგის ძე—სიღნაღის რაიონის ძველი ანაგის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე

## ვანის რაიონი

1. მაჭარაძე ვალერიანე ივანეს ძე—ვანის რაიონის ტობანიერის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე
2. გოგორიშვილი პაშა ივანეს ასული—პროფკავშირის ვანის რაიკომის თავმჯდომარე

## ქ. ქუთაისი

1. კობახიძე შოთა სიმონის ძე – საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი
2. ფხაკაძე სერგო ივანეს ძე—საქართველოს კ. პ. ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი

3. გენძეხაძე ილია ბესარიონის ძე—ქ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე

4. იობიძე ვასილ იასონის ძე—ქ. ქუთაისის №4 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი

ბიბლიოთეკა

5. ჭანკვეტაძე სიმონ პლატონის ძე—ქუთაისის მინისტარის ქარხნის დირექტორი

6. დოლიძე გიორგი ივანეს ძე—რიონჰესის დირექტორი

7. კიკნაძე შალვა დავითის ძე—ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი

8. ადამაძე თედორე ალექსანდრეს ძე—პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე

9. იმედაძე აფრასიონი ილიას ძე—ქუთაისის მაუდის ფაბრიკის დირექტორი

10. მაჭარაძე ალექსანდრე ამბაკოს ძე—ქუთაისის საკონსერვო ქარხნის დირექტორი

11. შავგულიძე დავითი ერმალოს ძე—გუმათჰესის დირექტორი

12. ძიმისტარაშვილი გიორგი სოკრატის ძე—ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის დირექტორი

13. იოსელიანი აბესალომი გიორგის ძე—ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის ყოფილი დირექტორი

## ზუგდიდის რაიონი

1. ქვარცხავა აკაკი კონსტანტინეს ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი (წინათ დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით)

2. კვარაცხელია ვახტანგ აქვსენტის ძე—ზუგდიდის რაიკომის მდივანი

3. შეროზია ამირან დიანოზის ძე—საქართველოს კპ ზუგდიდის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყ- გამგე

4. ნარმანია მირიან ბარნაბის ძე—ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების გამგე (წინათ დაჯილდოებულია სამკ. ნიშნით)

5. აბსანძე მამია სპირიდონის ძე—ზუგდიდის მესამე საშუალო სკოლის დირექტორი

6. შამუგია ივანე ნიკოლოზის ძე—ზუგდიდის რაიონის სოფ. ოქტომბრის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე

7. გულია ამირან იასონის ძე—ზუგდიდის რაიონის სოფ. ორსანტის საშუალო სკოლის დირექტორი

8. გვაზავა შალვა ამბაკოს ძე—ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერი;

9. ანთია ოთარი ფარნას ძე—ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭკადუაშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

10. ნარმანია ორესტი ტრიფონის ძე—ზუგდიდის რაიონის სოფ. კოკის რვაწლიანი სკოლის დირექტორი

11. იზორია გიორგი თედორეს ძე—ზუგდიდის რაიონის სოფ. ოდიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

12. ლუკავა ვლადიმერ ერმინეს ძე—ზუგდიდის მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორი

13. ჯაბუა თინა ვალერიანის ასული—ზუგდიდის რაიონის ინგირის სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე

14. თოდუა ერნა არტემის ასული—ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის დირექტორი

15. ჯაბუა კონსტანტინე ივანეს ძე—ზუგდიდის მეხუთე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

16. მაქაცარია დავითი ივანეს ძე—ზუგდიდის რაიონის ცაიშის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

17. ჩაგინავა შალვა ამბაკოს ძე—ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის გამგე

18. ნაჭყებია ვასილი პოლიკარპეს ძე—ზუგდიდის რაიონის ინგურმშენის კანტორის მთავარი ინჟინერი.

19. ბულია ანდრია ოთარის ძე—ზუგდიდის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს № 7-ის უფროსი.

## ქ. თბილისი

1. ბედიაშვილი ალექსანდრე სპირიდონის ძე—კრწანისის სასწავლო-საცდელი მეურნეობის დირექტორი

2. ვათეიშვილი ლევან სიმონის ძე—ტაბახმელის ბიოკომბინატის დირექტორი

3. თუშმანიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე—შამპანიური ღვინის ქარხნის დირექტორი

4. მანგიაშვილი შალვა ზაქროს ძე—ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი

5. იორამაშვილი არჩილ ვასილის ძე—ქ. თბილისის ალმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი ინჟინერი

6. სანიკიძე დავით მიხეილის ძე—84-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში

7. გოგიტაძე მამია ვარლამის ძე—ლენინის სახ. რაიონის განათლების განყოფილების გამგე

8. რაზმაძე გიორგი რომანოზის ძე—სამგორის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. მაჭარაშვილი ანტონი არჩილის ძე—კიროვის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

10. გიორგაძე მიხეილი იოსების ძე—პირველი მაისის რაიონის განათლების განყოფილების გამგე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე

ლ. მაღლაფერიძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 230—სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და მომარაგების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ . . . . . . . . . 9

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . 13

4. დებულება საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლების დაუსწრებელი განყოფილების შესახებ 19

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1962 წლის 31 მარტის № 209 დადგენილებით დამტკიცებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების დებულების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 27

6. დებულება საქართველოს სსრ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 28

7. Приказ Министерства просвещения Грузинской ССР о положении по производственному обучению учащихся средних общеобразовательных трудовых политехнических школ. . . . . . . . . . . . . 44

8. Положение о производственном обучении учащихся средних общеобразовательных трудовых политехнических школ Грузинской ССР . . 45

9. სასწავლო გეგმა—საქართველოს სსრ ქალაქის საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების III—VIII კლასებისათვის . . 60

10. Учебный план III—VIII классов русской городской вечерней (сменной) средней общеобразовательной школы . . . . . . . . . . . 62

11. Учебный план III—VIII классов Армянской и Азербайджанской городской вечерней (сменной) средней общеобразовательной школы . . 64

12. დაუსწრებელი საშუალო სკოლების და საღამოს (ცვლის) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოოსწავლებიანი სკოლების დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო გეგმის განმარტებითი ბარათი . . . . . . . . . . . . 66

13. დებულება ტუბერკულოზური ინფექციის ადრეული გამოვლინე-ბით ტუბერკულოზის მცირე და ჩამცხრალი ფორმით დაავადებულ ბავშვთა ტუბერკულოზური სანატორიული ბაგა-ბაღის შესახებ . . . . . . . . 7[illegible]

14. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ინ-ტერნატების მზრუნველთა საბჭოების მუშაობის შემოწმების შედეგების შე-სახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 80

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება ახმეტისა და მარნეულის რაიონების საბავშვო ბაღების მუშაობის შემოწმების შედეგე-ბის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 83

16. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება საქართვე-ლოს სსრ განათლების სამინისტროს საუწყებო არქივის მუშაობის შემოწ-მების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 86

17. ბრძანება № 231 . . . . . . . . . . . . . . . . . . . 88

18. ბრძანება № 327/კ . . . . . . . . . . . . . . . . . . 93